პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2025 წლის ---- ივნისი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს მიერ 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს ანგარიში 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს ანგარიში 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს“ მიერ 2024 წელში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მესამე რანგის მესამე კატეგორიის

უფროსი სპეციალისტი: მაია უგლავა

შეთანხმებულია

აპარატის უფროსის მ/შ მ.ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე ლ.ჩანქსელიანი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების
საკოორდინაციო ცენტრი"
Georgia
Non-Entrepreneurial/Non-Profit/Legal Entity
"Tskaltubo Municipality Tourism Development Coordination Center"

N 126/22
25.06.2025

22-126-2-202506251033

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი"-ს მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.

პატივისცემით,

ვერა ზურაბიანი

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი"

5400 ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. №39ა, ☎ 591446094 (0436)22-46-76
5400 Tskaltubo. Rustaveli St. №39a Tel: 591446094 (0436)22-46-76
E-mail: Tskaltubo.centertourism@gmail.com

ა ნ გ ა რ ი შ ი

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი"-ს მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი" ყოველწლიურად საჭიროებიდან გამომდინარე ვახორციელებთ სარეკლამო ბროშურების ბეჭდვას, ვაახლებთ სარეკლამო მასალას და მთელი წლის განმავლობაში ხდება მათი გამოყენება, განთავსება სხვადასხვა ტურისტულ ლოკაციებზე, შიდა და საერთაშორისო გამოფენებსა თუ ადგილზე ვიზიტორთათვის. დაიბეჭდა სარეკლამო ბანერები, ბროშურები, 3 სახის რუკა 150/180 ზე, ქალაქის არტ-რუკა, სამედიცინო მომსახურეობა ტურიზმში, კვებისა და განთავსების სივრცეები მუნიციპალიტეტის მასშტაბით და დატანილი იქნა ბანერზე.

აგრეთვე დაიბეჭდა 15/20სმ ბროშურები/სამ ენაზე.

ასევე ინოვაციების ცენტრში გაკეთდა საახალწლო განათება და ცენტრის სრულყოფილად მოწყობის მიზნით შევიძინეთ დამატებითი ტექნიკა, რაც შესაბამისი კატეგორიის მსურველებს გაუმარტივებს ტრენინგზე დასწრებას.

აქტივობები

წლის დასაწყისში განვაახლეთ საინფორმაციო მასალა, აღვრიცხეთ წყალტუბოში არსებული ტურისტული ლოკაციები: დაცული ტერიტორიები, მუზეუმები, მარნები, ბალნეოლოგიური ცენტრები, განთავსებისა და კვების ობიექტები.

2024 წლის 23-27 თებერვალს ვიმყოფებოდით სვანეთში, კერძოდ მესტიაში გასტრონომიულ ფესტივალზე, სახელწოდებით ,,გემოფესტი";

2024 წლის 8-10 მარტს ვიმყოფებოდით ქალაქ ბათუმში ექსპო-ბათუმის მიერ ორგანიზებულ ,,წიგნისა და განათლების მეორე საერთაშორისო გამოფენაზე";

2024 წლის 28-29 ივნისს ვიმყოფებოდით სვანეთში „ჰ'ლიშობის'' საერო დღესასწაულზე, რომელიც საუკუნეების მანძილზე იმართება სვანეთში მტერზე გამარჯვების აღსანიშნავად და დატვირთულია ტურისტული, საფეხმავლო-სათავგადასავლო და კულტურული ღონისძიებებით.

2024 წლის 20 ივლისს ვიმყოფებოდით ლაგოდეხში ბლუზის საერთაშორისო ფესტივალზე;

2024 25-28 ნოემბერს ვიმყოფებოდით ქალაქ ბათუმში, სადაც გავეცანით ბათუმის ტურიზმის სამსახურის სამუშაო რუტინას;

2024 წლის 18 დეკემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით ვიმყოფებოდით მივლინებით ქალაქ გორში, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტურზე, თანამშრომლობის და მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით. ვიზიტის ფარგლებში, ასევე მივიღეთ

მონაწილეობა მივიღეთ ადგილობრივი ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მიერ მომზადებულ საინფორმაციო ტურში ,,ტურიზმი გორის მუნიციპალიტეტში''.

მიმდინარეობს ცენტრის ოფიციალური ვებგვერდის განახლება. მზადდება მაღალი ხარისხის ფოტო-ვიდეო მასალა, რომელიც გამოყენებული იქნება როგორც შიდა, ისე საერთაშორისო მარკეტინგულ აქტივობებში.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით არაერთი მოკლევადიანი სასწავლო კურსი ხორციელდება, რომლის მიზანიც გახლავთ ინდუსტრიებში დასაქმებულთა ცოდნის გაღრმავება და უნარების გაუმჯობესება.

ტრენინგები ხორციელდება კერძო სექტორის საჭიროებისა და არსებული მსოფლიო ტენდეციების გათვალისწინებით შემუშავებულ თემატიკებში. ამ ეტაპზე დაიგეგმა ტრენინგი: „ინკლუზიური ტურები და მისაწვდომი სერვისები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის".

ტრენინგების მიმართულებით 2024 წელს დაიგეგმა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის" ბენეფიციართა მშობლებისათვის პოზიტიური და კულტურული ფსიქოკონსულტაციები.

2024 წლის 24 დეკემბერს საახალწლო ღონისძიებასთან დაკავშირებით, ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრმა" ბარმენთა ასოციაციასთან კოლაბორაციაში ჩაატარა ღონისძიება, რომელზეც საახალწლო სოფელში მოწვეულ სტუმრებს გავუმასპინძლდით სხვადასხვა სახის კოქტეილებით.